მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი
შეფასების ანგარიში

საჩივარი ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) ნავთობსადენის პროექტის თაობაზე ვალე, საქართველო

[საქართველო / ბთჯ ნავთობსადენი - 32/ვალე]

2010 წლის ივნისი

მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყება

სარჩევი

1. შესავალი 1

2. შეფასების შინაარსი და მიზანი 1

3. პროექტი 2

4. საჩივარი 3

4.1 შეფასების მსვლელობაში წამოჭრილი დამატებითი საკითხები..... 3

4.2 კომპანიის თვალსაზრისი 4

5. ომბუდსმენის მიერ საჩივრის განხილვის და დახურვის პროცესი 5

1. შესავალი

მრჩეველი ობბუდსმენის ოფისი (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) დამოუკიდებელ დამხმარე მექანიზმს. მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) უშუალოდ ანგარიშმგებელია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის მიმართ. ოფისის მოვალეობაა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) პროექტების განხორციელების მსვლელობაში დაზარალებული ინდივიდებისა და უბნების საჩივრების სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული გზით განხილვა, და აღნიშნული პროექტების შედეგებით სოციალური და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება, რომ საჩივარი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს CAO-ს ჩარევისათვის, CAO-ს ომბუდსმენი ჩაატარებს სიტუაციის შეფასებას, რათა გაარკვიოს და ნათელი გახადოს აღძრული პრობლემები, დახმარება გაუწიოს მხარეებს შორის ურთიერთობას მათი ინტერესებისა და შეხედულებების თაობაზე, და დაეხმაროს მათ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების გამოვლენაში. შეფასების მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება ბრალის განსაზღვრისათვის, ანდა საჩივრის სარგებლობის შესახებ მსჯელობისათვის.

იმისათვის, რომ CAO-მ საჩივარის თაობაზე შეფასების განახორციელების კრიტერიუმები დაკმაყოფილდეს, საჩივარში მითითებული უნდა იყოს, რომ:

- ეს საჩივარი ეხება პროექტს, რომლის მონაწილეებიც არიან, ან რომლის განხორციელებასაც აპირებენ, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყება (MIGA).
- ამ საჩივარში აღძრული პრობლემები ეხება CAO-ს მოვალეობას განიხილოს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) ინვესტიციების სოციალურ და ბუნებრივი გარემოზე ზემოქმედება.
- მომჩივანმა შესაძლებელია განიცადოს საჩივარში აღძრული სოციალურ და/ან გარემოზე ზემოქმედების გავლენა.

2. შეფასების შინაარსი და მიზანი

წინამდებარე შეფასება გაკეთდა 2008 წლის აგვისტოში არასამთავრობო ორგანიზაციის - საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემოტანილი საჩივრის საპასუხოდ; ეს საჩივარი ასოციაციამ შემოიტანა სოფელ ვალეს მცხოვრებლების სახელით. საჩივარში აღნიშნულია, რომ ბთჯ-ის კომპანიამ არ შეასრულა პირობები, რომლებიც ჩამოთვლილია მის „მიწის შეძენისა და

კომპენსაციების ხელმძღვანელობაში"; საჩივარი მოითხოვს, რომ ბთჯ კომპანიამ გამოითვალოს კომპენსაციები მის მიერ ნავთობის მილსადენის მშენებლობის მსვლელობაში შეძენილი მიწის ნაკვეთების ღირებულების ასანაზღაურებლად.

ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) მთავარი საექსპორტო მილსადენის პროექტი შეიცავს ნედლი ნავთობის მილსადენის სისტემის განვითარებას, დაფინანსებას და ოპერირებას ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად მდებარე სანგაჩალის ნავთობის ტერმინალიდან, საქართველოს გავლით, ჯეიხანის (თურქეთი) საექსპორტო ტერმინალში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1760 კილომეტრიანი მილსადენი ჩადებულია მიწაში გზის მთელ მანძილზე, გადის აზერბაიჯანზე (442 კმ), საქართველოზე (248 კმ), და თურქეთზე (1070 კმ). მილსადენით ხდება დღეში ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის ჭაბურღილებიდან, რომლებიც ცნობილია, როგორც აზერის, ჩირაღის, გუნაშლის წყალქვეშა საბადოები.

პროექტის ოპერირებას ახორციელებს ბთჯ კომპანია, რომელიც წარმოადგენს 11 პარტნიორის კონსორციუმს. ამ საჩივარის მიღების მომენტისათვის CAO-ს მიღებული ჰქონდა სულ 33 საჩივარი ბთჯ პროექტის თაობაზე, რომლებიც შემოსული იყო როგორც ინდივიდებისაგან, ასევე უბნებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან.

წინამდებარე შეფასების მიზანია ამ შეფასების მსვლელობაში შეგროვებული ფაქტებისა და ინფორმაციის აღწერა, შეფასების შედეგების და მხარეების მიერ პრობლემების გადაწყვეტის მისაღწევად შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის ანგარიშის მომზადება.

3. პროექტი

ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) ნავთობისა და გაზის მილსადენი წარმოადგენს 1768 კმ სიგრძის ნედლი ნავთობის მილსადენს, რომელიც გადაჭიმულია კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ის არის სიგრძით მეორე ნავთობის მილსადენი მსოფლიოში, რომელიც გაივლის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. პროექტი შეიცავს 11 პარტნიორისაგან შემდგარ კონსორციუმს, რომელიც დაარსდა 2002 წლის აგვისტოში. „ბრიტიშ პეტროლეუმი" (BP), პროექტის ყველაზე დიდი წილის მფლობელია (30,1%), ახორციელებს მილსადენის ექსპლუატაციას. სხვა პარტნიორები (წილის შემცირების შესაბამისად) არიან: „სოქარი" (SOCAR - აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია) (25%), „იუნოკალი" (Unical) (8,9%), „სტატოილი" (Statoil) (8,7%), TPAO - თურქეთის ნავთობის კორპორაცია (6,5%), „ენი" (Eni) (5%), „თოთალ-ფინა ელფი" (TotalFinaElf) (5%), „ითოჩუ" (ITOCHU) (3,4%), „ინპექსი" (INPEX) (2,5%), „კონოკო ფილიფსი" (ConocoPhillips) (2,5%), და „ამერადა ჰესი" (Amerada Hess) (2,3%).

როგორც მილსადენის ოპერატორი, ბრითიშ პეტროლეუმი (BP) წამყვან როლს ასრულებს პროექტის შექმნასა და მშენებლობაში. პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 3,6 მილიარდი ამერიკული დოლარია.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) გროს ინვესტირება ამ პროექტში 250

მილიონი ამერიკული დოლარია, აქედან $125 მილიონი კორპორაციის საკუთარი ანგარიშიდან მოდის (მას A სესხს უწოდებენ), ხოლო დანარჩენი $125 მილიონი - სინდიკატების სესხია (B სესხის პროგრამის სახელწოდებით).

მილსადენის საქართველოზე გამავალი სექცია იწყება გარდაბანში,. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, და გადის ქვეყნის შვიდ რეგიონზე, სამხრეთის სამცხე-ჯავახეთის რაიონის ჩათვლით, სადაც მდებარეობს ქალაქი ვალე.

დღემდე CAO-ს მიღებული აქვს 32 საჩივარი ბთჯ-ს პროექტის თაობაზე, როგორც ინდივიდებისაგან, ასევე ქალაქებისაგან და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან. საჩივრების უმეტესობა შემოსულია საქართველოდან; წინამდებარე საჩივარი ვალედან შემოსული მეოთხე საჩივარია, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე პროექტის ზეგავლენის თაობაზე.

4. საჩივარი

2008 წლის აგვისტოში CAO-მ მიიღო საჩივარი, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის წევრი და სოფელ ვალეს 31 მცხოვრები; საჩივარი ეხებოდა მათი მიწების აღდგენას მილსადენის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. საჩივარში აღნიშნულია, რომ ბთჯ-მ არ შეასრულა „მიწების შეძენისა და კომპენსაციების ხელმძღვანელობაში“ მოცემული პირობები, რომლებიც გულისხმობდნენ დასკვნითი შემოწმების განხორციელებას მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან ერთად მილსადენის მთელ ტერიტორიაზე, ამ ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ვარგისიანობის დადგენის მიზნით. საჩივარში აგრეთვე დასმულია კითხვა, თუ რატომ ხელმძღვანელობს ბთჯ ზოგიერთი ნაკვეთის კომპენსაციების გამოთვლის დროს 2002 წლის საბაზრო ფასებით, და არა შესაბამისი 2007 – 08 წლის ფასებით.

4.1. შეფასების მსვლელობაში წამოჭრილი დამატებითი საკითხები

საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთან პირველ ეტაპზე სატელეფონო ზარების და ელ. ფოსტით წერილების გაცვლის შემდეგ CAO-სთვის ნათელი გახდა, რომ 31 ადგილობრივი ხელმომწერის უმეტესობისათვის არ იყო ცნობილი, რომ ასოციაციამ საჩივარი შეიტანა CAO-ში, და მათთვის არ იყო ცნობილი არც CAO-ს არც მისი მოვალეობების შესახებ. მცხოვრებლებს ეგონათ, რომ ასოციაცია უშუალოდ ბთჯ-სთან მუშაობდა მათი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

ასოციაციამ აღიარა, რომ ყველა მომჩივანისათვის არ იყო ცნობილი CAO-სა და მისი მოვალეობის შესახებ, მაგრამ განაცხადა, რომ კომპანია არ რეაგირებდა ასოციაციის

წერილებზე, და რომ ამ ორ მხარეს შორის კონტაქტი არ არსებობდა. ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალის საპოვნელად ასოციაციამ საჩივარი CAO-ში გააგზავნა.

ვალედან მიღებული ამ 31 საჩივრიდან თითოეული ეხებოდა ბთჯ-სა და მიწის მესაკუთრეებს შორის მილსადენის მშენებლობის მსვლელობაში მიწით სარგებლობის თაობაზე არსებული შეთანხმების განხორციელებას. 2004 წელს ამ შეთანხმებების საფუძველზე მილსადენის მშენებლობის გასწვრივ არსებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლება ბთჯს-ს გადაეცა მშენებლობის დასრულებამდე. ამ დროესათვის, შეთანხმების შესაბამისად, დაზიანებული მიწა აღდგენილი და ვარგისი იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის გამოყენებისათვის, ის გადაცემული იქნებოდა მესაკუთრეებისათვის შეუზღუდავი უფლებებით, მოსავლის დანაკარგების კომენსაციებთან ერთად. ზოგიერთი ხელმომწერი ამტკიცებს, რომ მათ ჯერაც არ მიუღიათ ოფიციალური საბუთები მიწით სარგებლობის შეუზღუდავი უფლებების პირვანდელი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების შესახებ; სხვები ამტკიცებენ, რომ მათი მიწები არ იყო შესაბამისად აღდგენილი; ხოლო ზოგი ამბობს, რომ მიღებული კომპენსაცია არ შეესაბამებოდა დანაკარგებს.

4.2. კომპანიის თვალსაზრისი

ბთჯ-მ დაუდასტურა CAO-ს, რომ გასულ წელს მიღებული ჰქონდა რამდენიმე საჩივარი მიწით სარგებლობის შეთანხმების პირობების შესრულებისა და ვალეში და სხვაგან მიწების აღდგენის თაობაზე (ზოგი ინდივიდებისაგან, და ზოგი - ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციისგან). მაგრამ კომპანიისათვის არ იყო ცნობილი, რომ აღნიშნული საჩივარი CAO-თვის იყო გაგზავნილი; კომპანიისათვის არ იყო ცნობილი, აგრეთვე, საჩივრის ხელმომწერთა ვინაობა, ან მიწის რომელ ნაკვეთებზე იყო საუბარი. ბთჯ-მ ასევე აცნობა CAO-ს, რომ ასოციაციასთან რამდენიმე თვის წინ ბოლო საუბრის შემდეგ კომპანია მოელაპარაკა და რამდენიმე შეთანხმებას მიაღწია მიწის მესაკუთრეებთან ვალეში, ხოლო რამდენიმე სხვა შეთანხმება ჯერ კიდევ მოლაპარაკების სტადიაში იყო.

შემდგომი სატელეფონო საუბრის დროს ბთჯ-მ სთხოვა CAO-ს გადმოეგზავნა კომპანიისათვის საქართველო ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაგზავნილი საჩივრის ასლი, რათა საშუალება მისცემოდა განეხილა ინდივიდუალური საჩივრები და შეედარებინა თავისი საბუთებისათვის. კომპანიამ თავის თავზე აიღო მხარეებთან და CAO-სთან გადაწყვეტის გარეშე არსებულ საჩივრებზე მუშაობა. შემდეგ CAO-მ სთხოვა ასოციაციას წარედგინა მისთვის ხელმომწერთა ნებართვა ბთჯ-სათვის მათი ვინაობის გადასაცემად. რამდენიმე თვის შემდეგ ასოციაციამ დაადასტურა, რომ CAO-ს შეეძლო გაეზიარებინა თითოეული ხელმომწერი პირის ვინაობა და საჩივრის სრული ვერსია კომპანიისათვის.

საჩივრის ხელმომწერთა ვინაობის განხილვის შემდეგ ბთჯ კომპანიამ გააკეთა ცხრილი, სადაც აღნიშნული იყო თითოეული ინდივიდის საქმის სტატუსი მიწით სარგებლობის შეთანხმების თაობაზე (ცხრილში შეტანილი იქნა მიწის ნაკვეთების ნომრები, შეძენილი ნაკვეთები, გადახდილი თანხები, ნაკვეთების დაბრუნების სტატუსი, კომპენსაციები და მოსავლის სტატუსი). ბთჯ-ს ანგარიშის თანახმად, საჩივრის 31 ხელმომწერიდან შვიდისათვის მიწის დაბრუნების შეთანხმების პროცესი დამთავრებული არ იყო ბთჯ-სთან. ბთჯ-მ CAO-ს და ადვოკატთა ასოციაციას მიაწოდა ამ გადაუწვეტელი შეთანხმებების აღწერილობა, და შეთანხმების მიუღწევლობის მიზეზები.

5. ომბუდსმენის მიერ საჩივრის განხილვის და დახურვის პროცესი

CAO დაუკავშირდა აღნიშნულ შვიდ ინდივიდს, რომელთა საქმეებიც, როგორც ბთჯ-მ აღნიშნა, გადაუწყვეტელი დარჩა, რათა დაედასტურებინა ბთჯ-სგან სწორი ინფორმაციის მიღება. CAO აგრეთვე დაუკავშირდა რამდენიმე ხელმომწერს და მათ წარმომადგენელს, რომელთა საქმეებიც გადაწყვეტილი იყო ბთჯ-სგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში CAO მუშაობდა ბთჯ კომპანიასთან და დარჩენილ შვიდ მომჩივანთან გადაწყვეტილების მიღების პროცესში დახმარების აღმოჩენის მიზნით. ზოგიერთი საქმე გადაუწყვეტელი იყო მიწის ნაკვეთის ნამდვილი კუთვნილების დადგენაში გაუგებრობების გამო. სხვა შემთხვევებში დავა ეხებოდა მოსავლის დაკარგვის კომპენსაციებს, და ერთ შემთხვევაში ბთჯ-მ ვერ დაადგინა რეგისტრირებული მფლობელის ადგილსამყოფელი.

საბოლოოდ, ბთჯ-სა და შვიდივე ხელმომწერთან მიღწეული იქნა შეთანხმება. CAO დაეხმარა რამდენიმე მათგანთან შეთანხმებების მიღწევაში და მათი მონიტორინგის განხორციელებაში; სხვა საჩივრები მოგვარდა უშუალოდ ბთჯ-სა და მომჩივანებს შორის. ბთჯ-მ და ან ხელმომწერებმა CAO-ს გამოუგზავნეს ინდივიდუალური, ხელმოწერილი შეთანხმებები საქმის გადაწყვეტის დასადასტურებლად.

2009 წლის ოქტომბერში 31 ხელმომწერიდან ბოლო ინდივიდის საქმეც მოგვარდა, რის თაობაზეც მიღებული იქნა დადასტურება, და CAO-მ დახურა აღნიშნული საჩივარი.